საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 702-03
02/03/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, სამართლის სკოლის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული პირველი დანართის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის (ცვლილება: საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N35/ნ, 16.05.2016), უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის №7 სხდომაზე დადგენილი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, 2019 წლის 25 დეკემბრის N22759-35 და 2020 წლის 11 თებერვლის N2176-35 სამსახურებრივი ბარათების, სამართლის სკოლის დეკანის 2020 წლის 4 თებერვლის N1787-35 სამსახურებრივი ბარათის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 13 იანვრის N287-35 სამსახურებრივი ბარათის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 9 იანვრის N184-35 სამსახურებრივი ბარათის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის, ირინა ბაზღაძის 2019 წლის 25 დეკემბრის N22766-35, 2020 წლის 9 იანვრის N190-35, 13 იანვრის N304-35, 5 თებერვლის N1820-35 და 11 თებერვლის N2182-35 სამსახურებრივი ბარათების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, 2019 წლის 25 დეკემბრის N22796-35, 2020 წლის 10 იანვრის N201-35, 21 იანვრის N777-35, 5 თებერვლის N1846-35 და 20 თებერვლის N2798-35 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ამ ბრძანების პირველი დანართით განსაზღვრულ სტუდენტებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის გამო შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ამ ბრძანების მეორე დანართით განსაზღვრულ სტუდენტებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის გამო, შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი;

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ამ ბრძანების მესამე დანართით განსაზღვრულ სტუდენტებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის გამო, შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი;

4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ამ ბრძანების მეოთხე დანართით განსაზღვრულ სტუდენტებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის გამო, შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი;

5. ამ ბრძანების საფუძველზე სტატუსშეწყვეტილ პირებს მიეცეთ პირადი საქმის გატანის უფლება;

6. დაევალოთ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, ამ ბრძანების დანართებში მითითებული პირების პირადი საქმის ასლების შენახვა;

7. დაევალოთ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და სწავლის საფასურის აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში;

8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება, საჯარო წესით გაცნობის მიზნით, განათავსოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას - პერსონალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფით, ამ ბრძანების დანართებში მითითებული მონაცემებიდან მხოლოდ სახელის, გვარის და საფეხურის მითითებით;

9. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ეს ბრძანება, საჯარო წესით გაცნობის მიზნით, ერთი წლის ვადით, განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე - პერსონალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფით, ამ ბრძანების დანართებში მითითებული მონაცემებიდან მხოლოდ სახელის, გვარის და საფეხურის მითითებით;

10. დაევალოთ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, უზრუნველყონ ბრძანების განთავსებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ამ ბრძანების მეცხრე პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის, ამავე პუნქტში მითითებული ინფორმაციის ვებ-გვერდიდან აღების უზრუნველყოფის მიზნით იმგვარად რომ ის აღარ იყოს ხელმისაწვდომი ინტერნეტ სივრცეში;

11. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს, ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანების დანართებით განსაზღვრულ სტუდენტებს მიაწოდოს სტატუსის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსისა“ და საუნივერსიტეტო ელ-ფოსტის მეშვეობით ასეთის არსებობის შემთხვევაში;

12. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი